საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „mono l iTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№121/15 27 სექტემბერი,2015 წ.

შ.პ.ს. „აპექს ჯგუფი“-ს

გენერალურ დირექტორს

ბატონ ვლადიმერ რობაქიძეს

ტექნიკური დასკვნა
ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბერბუთის ქუჩა №5-5ა ში, მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბერბუთის ქუჩა №5-5ა-ში, შ.პ.ს. „აპექს ჯგუფი“-ს მიერ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.13.034.093) დაგეგმილ მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას. კომპლექსის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით l×b=36×21მ. იგი 26 (ოცდაექვსი) სართულიანია, საიდანაც 4 (ოთხი) სართული ავტოსადგომებისათვის განთავსდება მიწის ქვეშ.

საპროექტო მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის ტერიტორიას, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება ბერბუკის ქუჩა სიგანით 8მ. დასავლეთიდან ტყვარჩელის ქუჩა, სიგანით 5მ; აღმოსავლეთიდან კონსტრუქციულად პრაქტიკულად დასრულებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (საკადასტრო კოდი №01.10.13.034.038, მესაკუთრე ამხანაგობა „არენა 2010“); ჩრდილოეთიდან ქუჩის გასწვრივ მდებარეობს რიგი ორ სართულიანი სახლებისა საკადასტრო კოდებით №01.10.13.037.011; 01.10.13.037.010; 01.10.13.037.005; 01.10.13.037.0108; ასევე სამხრეთიდან ქუჩის გადაღმა მდებარეობს მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი საკადასტრო კოდით №01.10.13.040.087, 01.10.13.040.058;

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვით, სამშენებლო უბანზე გავრცელებულია შემდეგი ტიპის გრუნტები:

- ნაყარი. სიმძლავრით 1÷1.7მ.
-კენჭნარი. სიმძლავრით 3.8÷4.8მ; ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=1.95$ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=0.01$კგ/სმ^2.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=40^0$
დეფორმაციის მოდული	E = 400კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	R_0=4.50 კგძ/სმ^2.

- ძლიერ გამოფიტული, გათიხებული სუბარგილიტები და ღორღის დონებდე დასული ქვიშაქვები. სიმძლავრით 1.9÷2.2მ; ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=2.04$ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=0.25$კგ/სმ^2.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=22^0$
დეფორმაციის მოდული	E = 270კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	R_0=3.0 კგძ/სმ^2.

- სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები, ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=2.35$ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=2.5$კგ/სმ^2.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=25^0$
დეფორმაციის მოდული	E = 14000კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა.	R_c=74 კგძ/სმ^2.

შ.პ.ს. „მონოლითი“ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე გაცნობებთ, რომ საპროექტო შენობა მაღალი მზიდუნარიანობის გრუნტებისა და საკადასტრო ერთეულებამდე მანძილების გამო არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არსებული შენობებისა და გზის სავალი ნაწილისათვის, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/
მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/